

საქართველოს კანონი

**„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“**

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 28.06.2001, მუხ.58) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და მე-5 მუხლის პირველ პუნქტს „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებელთა ტექნიკური რეგლამენტების დაცვის მდგომარეობის შემოწმებისას, თუ ის ხორციელდება შერჩევითი კონტროლის საბაბით, კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი